სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

ანგარიში

2023

ზრუნვაზე ორიენტირებული, უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი სასკოლო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, გასული წლების მსგავსად, მნიშვნელოვანი, მხარდამჭერი პროექტების განხორციელებას აგრძელებს[1].

2023 წელს, გაფართოების გეგმის თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, უსაფრთხოების კომპონენტით, საქართველოს რეგიონების დამატებით 27 საჯარო სკოლაში შევიდა. შედეგად, 2023 წლის მდგომარეობით, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, საქართველოს მასშტაბით, წარმოდგენილია 719 საჯარო სკოლაში[2], ასევე, 1 კერძო სკოლასა და 1 პროფესიულ კოლეჯში.

შედარებით მცირეკონტინგენტიან სკოლებში უსაფრთხოებას და საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფენ სკოლის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირები, რომლებიც საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ არიან გადამზადებულნი. სულ, 2019 წლიდან, გადამზადდა 1 935 უფლებამოსილი პირი, აქედან, 2023 წელს - 58 პირი.

2023 წლის განმავლობაში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა აქტიურად გააგრძელა სკოლებში სოციალური მუშაობის კომპონენტის დანერგვა და სოციალური მუშაკების როლის გაძლიერება, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლებისა და მასწავლებლების მხარდაჭერას, ასევე, მოსწავლეთა სოციალური განვითარებისთვის ხელშემშლელი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრას.

[1] გასულ წლებში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ნახვა შესაძლებელია სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.mandaturi.gov.ge

[2] უსაფრთხოების სეგმენტით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მომსახურება, არსებული მდგომარეობით, საჯარო სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 90 პროცენტზე მეტს ფარავს.

სოციალური მუშაობის კომპონენტით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური ამჟამად წარმოდგენილია თბილისისა და საქართველოს რეგიონების 63 საჯარო სკოლაში (თელავი, გურჯაანი, რუსთავი, გორი, ხაშური, მცხეთა, ახალციხე, ბორჯომი, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი, ოზურგეთი, ქარელი, ამბროლაური).

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, 2023 წლის მდგომარეობით, თბილისსა და რეგიონებში, დასაქმებული ჰყავს 4 პროფესიული ზედამხედველი - სოციალური მუშაობის მიმართულებით და 61 სოციალური მუშაკი, მათ შორის, 6 - რაიონული კოორდინატორია.

გასული წლების მსგავსად, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი აგრძელებს მაღალკვალიფიციური, უფასო ფსიქოსოციალური მომსახურების შეთავაზებას საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართული სუბიექტებისთვის[3]. ცენტრში დასაქმებულია 51 ფსიქოლოგი, ბავშვთა და მოზარდთა 2 ფსიქიატრი და 2 პროფესიული ზედამხედველი ფსიქოლოგიური მუშაობის მიმართულებით.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 24 საათიანი ცხელი ხაზი, რომლის მიზანია ბენეფიციარებისთვის დროული და დაუყოვნებელი ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევა, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში, მომსახურების მიმღებთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება.

საანგარიშო პერიოდში, 24 საათიან ცხელ ხაზზე მიღებულია 701 შეტყობინება.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის საკონსულტაციო მომსახურების მიზნით, ფუნქციონირებს ვებ-გვერდი befriend.mes.gov.ge, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, სრული კონფიდენციალურობის დაცვით, ონლაინ სასაუბროს საშუალებით, მიიღოს კვალიფიციური ფსიქოლოგიური კონსულტაცია. საანგარიშო პერიოდში, ვებ-გვერდის მეშვეობით, შემოვიდა 132 შეტყობინება.

მხარდამჭერი სერვისების გაუმჯობესების მიზნით, 2023 წელს შემუშავდა ფსიქოსოციალური მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის წესი, ფსიქოლოგიური მომსახურების კონცეფცია და სტანდარტები; ასევე, უშუალოდ განათლების სისტემაში მომუშავე სპეციალისტების მოხმარებისათვის - „თვითმკვლელობის პრევენციის სკრინინგ ინსტრუმენტი".

---

[3] საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი წარმოდგენილია 10 ლოკაციაზე: თბილისი - 2, თელავი, რუსთავი, გორი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ახალციხე.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში გამართულია სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა შიდა უწყებრივი და გარე პროფესიული ზედამხედველობის პროცესი, რაც უზრუნველყოფს სპეციალისტების გადაწვის პრევენციასა და მათ მიერ ეფექტიანი მომსახურების გაწევას.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მიერ ტარდება პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიებები, როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ და სასკოლო დონეზე. ინდივიდუალურ შემთხვევებზე მუშაობის ფარგლებში, ცენტრი ახორციელებს მულტიდისციპლინარულ და მულტისექტორულ მუშაობას.

2023 წლის განმავლობაში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში შემოვიდა 5 726 ახალი შემთხვევა. აქედან, 4 625 შემთხვევის რეფერირება განხორციელდა სკოლებიდან, ხოლო 1 101 ბენეფიციარმა თვითდინებით მიმართა ცენტრს, გადმომისამართდა სხვა სუბიექტის მიერ, შესაბამისი მომსახურების მიღების მიზნით, და/ან შემთხვევა იდენტიფიცირებული იქნა ცენტრის თანამშრომლის მიერ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში ფუნქციონირებს კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი, რომლის მიზანია კრიზისული შემთხვევების შეფასება ადგილზე, სიტუაციის პირველადი მართვა, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა. გუნდი, საჭიროებისამებრ, მუშაობს მოსწავლეთა მშობლებთან და სკოლასთან. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს ბავშვებსა და მოზარდებში ფსიქოლოგიური ტრავმის ჩამოყალიბების რისკს. 2023 წლის განმავლობაში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ, კრიზისული ინტერვენციის ფარგლებში, განხორციელდა 38 ვიზიტი საჯარო სკოლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით; ხოლო შემთხვევაზე/შეტყობინებაზე რეაგირების მიზნით - 1 732 ვიზიტი.

„პროცესზე ორიენტირებული უსაფრთხო სკოლის“ მოდელის განვითარების მიზნით, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებებში აღდგენითი ურთიერთობების კონცეფციის დანერგვას აგრძელებს. აღნიშნული წარმოადგენს სკოლებში ჯანსაღი ურთიერთობების, მოსწავლეთა აკადემიური წინსვლის, პედაგოგთა და სკოლის დირექციის წარმომადგენელთა საქმიანობის ეფექტიანობის ხელშემწყობ მიდგომას, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავდა.

ამასთან, საჯარო სკოლებში ხორციელდება აღდგენითი ურთიერთობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი - სასკოლო მედიაციის საპილოტე პროექტი. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, სასკოლო მედიაცია საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღდგენითი პროცესების, კონფლიქტებზე რეაგირების და მათი კონსტრუქციული გზით გადაჭრის საუკეთესო მექანიზმია. მისი მიზანია, ადრეული და ეფექტური ჩარევით, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტა, პროაქტიული რეაგირება და

პრევენცია. მედიაციის პროცესს მანდატურის სამსახურის სპეციალურად გადამზადებული თანამშრომლები უძღვებიან. წლის განმავლობაში, მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული მედიატორების მიერ სასკოლო მედიაციის შეთავაზება მოხდა 46 შემთხვევაზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, სკოლებში თავისი საქმიანობის განხორციელებისას, აქტიურად იყენებს „კრიზისული ინტერვენცია ცხოვრებისეულ კონტექსტში (LSCI)" მეთოდს. LSCI არის საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდი, რომელიც ბავშვებსა და მოზარდებს პრობლემური სიტუაციების სწავლის შესაძლებლობებად გარდაქმნაში, კრიტიკული მოვლენის ან სტრესული ინციდენტების დეესკალაციასა და დაძლევაში ეხმარება.

2003 წელს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური მიწვეული იყო განათლებისა და ზრუნვის სფეროში კონფლიქტების მართვისა და გამკლავების ევროპული ფედერაციის (EFeCT) საერთაშორისო კონგრესზე, რომელშიც აშშ-ის, საფრანგეთის, ბელგიის, შოტლანდიის, ნიდერლანდების, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების დარგის ექსპერტები მონაწილეობდნენ. კონგრესის მონაწილეები საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ საქართველოს სკოლებში აღდგენითი მიდგომის დანერგვის კუთხით განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს გაეცნენ.

კონგრესის ფარგლებში, ასევე გაიმართა „კრიზისული ინტერვენცია ცხოვრებისეულ კონტექსტში (LSCI)" მეთოდის ტრენერთა საბჭოს სხდომა, რომელზეც საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით იყო წარმოდგენილი.

სასკოლო უსაფრთხოების კომპონენტის გაძლიერების მიზნით, ფსიქოსოციალური მომსახურების მიწოდების პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალური მხარდაჭერისთვის, დაიწყო მასწავლებელთა ვალიდირებული სკრინინგ ინსტრუმენტის გამოყენება პრაქტიკაში. ინსტრუმენტი წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების ყოვლისმომცველ სისტემას, რომელიც კვლევისა და პრაქტიკული გამოცდილების შედეგად არის შემუშავებული. კითხვარი აფასებს მოსწავლის კომპეტენციებს, სიძლიერეს, ადაპტაციურ ფუნქციონირებასა და ქცევით, ემოციურ და სოციალურ პრობლემებს. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტებისა და სკოლის მასწავლებლების გადამზადება ახალი ინსტრუმენტის გამოყენებაში - იმ სკოლებში, სადაც მანდატურის სამსახური სოციალური მუშაობის კომპონენტით არის წარმოდგენილი.

2023 წელს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური სკოლებში აგრძელებდა სოციალურ მუშაობას ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორიცაა: მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება, ძალადობისგან თავისუფალი სასკოლო გარემოს ხელშეწყობა, ბულინგის პრევენცია, სარისკო ქცევების პრევენცია, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა და სხვა. მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო, ჩართულობითი (ინკლუზიური) გარემოს ჩამოყალიბება შესაძლებელს ხდის, სკოლაში გაუმჯობესდეს მოსწავლის სწავლის ხარისხი.

2023 წლის მაისი-ივნისის პერიოდში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალურმა მუშაკებმა, საქართველოს მასშტაბით, 46 საჯარო სკოლაში განახორციელეს სკოლის საჭიროებების შეფასება, სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, ადმინისტრაციასთან/დირექციასთან ფოკუსირებული შეხვედრების მეთოდის გამოყენებით. სულ, საჯარო სკოლებში ჩატარდა 226 ფოკუს ჯგუფი.

საჭიროებების შეფასების შედეგად, განისაზღვრა სკოლასთან თანამშრომლობის და მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც მოიცავს: სკოლაში თანაბარი/თანასწორუფლებიანი გარემოს ფორმირებას; მოსწავლეთა ფსიქოსოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობას; ბულინგზე რეაგირების კუთხით, სასკოლო საზოგადოების ჩართულობას; სკოლის თვითმმართველობის გააქტიურებასა და მოსწავლეთა არაფორმალური განათლების მიმართულებით ჩართულობის გაზრდას; მოსწავლეთა, მასწავლებელთა წამახალისებელი აქტივობების დაგეგმვას; მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობის წახალისებას თემატური, საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზების გზით; სსსმ და შშმ მოსწავლეების მშობლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას; მოსწავლეთა ფორმალურ სასკოლო აქტივობებში ჩართვისა და აკადემიური მოსწრებაზე დადებითი ზეგავლენის ხელშეწყობას.

სკოლებში სოციალური მუშაობის დანერგვის, ეფექტიანი თანამშრომლობის, განხორციელებული ღონისძიებების შეჯამებისა და სამომავლო აქტივობების წარმატებით განხორციელების მიზნით, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტების მიერ/ან მათი მხარდაჭერითა და სუპერვიზიით, სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ სკოლებში ჩატარდა სხვადასხვა მიზანსა და ამოცანაზე ორიენტირებული ღონისძიებები,[4] კერძოდ:

მოსწავლეებისთვის - განხორციელდა თითოეულ კლასში ფასეულობებისა და ღირებულებების შეტანა; ჩატარდა ტრენინგი ეფექტური კომუნიკაციის საკითხებზე; შეიქმნა სკოლის კლუბები; გააქტიურდა სკოლის თვითმმართველობები; გაიმართა შეხვედრები ძალადობის, სოციალური უნარების, სარისკო ქცევების პრევენციისა და მათზე რეაგირების, ადამიანის უფლებების და ბავშვთა ასაკში ქორწინების თემებზე, ასევე, პროფორიენტაციის საკითხებზე; ჩატარდა ემპათიის და ემოციების განვითარების აქტივობები; გაიმართა სხვადასხვა ტიპის კონკურსი, ფილმების ჩვენებები და დისკუსიები; მოეწყო პროაქტიული, მისალმების და განხილვის წრეები და სხვა.

მასწავლებლებთან/ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან - ცნობიერების ამაღლების, უნარ-ჩვევების გაძლიერების, რისკების გამოკვეთის და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, ჩატარდა ტრენინგები ისეთ თემებზე, როგორიცაა: სარისკო ქცევების პრევენცია და მათზე რეაგირება; დესტრუქციული ქცევის, კრიზისული სიტუაციების მართვა; მოწყვლადობის რისკის წინაშე მყოფი მოსწავლეების იდენტიფიცირება; სსსმ მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის პროტოკოლის აღსრულება; ბავშვთა უფლებები და ანტიდისკრიმინაციული მიდგომები. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, კრიზისული სიტუაციების მართვის პროტოკოლის გაცნობის მიზნით. მოხდა LSCI მეთოდის შესახებ მასწავლებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება. პედაგოგები გაეცნენ აღდგენით მიდგომებს, ბულინგის სქემას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

მშობლების მონაწილეობით - გაიმართა შეხვედრები და ტრენინგები შემდეგ თემებზე: ძალადობის, მათ შორის, ბულინგის ნიშნების ამოცნობა, რეაგირება და პრევენცია; ბავშვის განვითარების ეტაპები; მოზარდობის ასაკის თავისებურებები; დასჯა-წახალისება; პოზიტიური მშობლობა; ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის პრევენცია; სსსმ და შშმ

---

[4] 2023 წლის განმავლობაში, სოციალური მუშაობის ფარგლებში განხორციელებულ სხვადასხვა საინფორმაციო, საგანმანათლებლო, შემეცნებით, სპორტულ, სადისკუსიო და საინტერვენციო აქტივობაში ჩაერთო: 9 323 - მასწავლებელი, 1 065 - ადმინისტრაციის წარმომადგენელი, 123 510 - მოსწავლე, 13 200 - მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებები. მომსახურებებთან ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მშობლებს მიეწოდათ ინფორმაცია მომსახურების განახლებული რუკის შესახებ.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეებისთვის გარემო გახდა მეტად მხარდამჭერი, გაღრმავდა თანამშრომლობა სკოლაში მომუშავე სუბიექტებს შორის, მიმდინარეობს პროაქტიული ჩარევა გამოკვეთილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, გრძელდება საკლასო კლიმატის ცვლილება. სოციალურ მუშაკსა და სასკოლო თემს შორის აქტიური ინტერაქციის შედეგად, გაიზარდა ნდობა და ამაღლდა ცნობიერება სოციალური მუშაობის შესახებ, ასევე, იმ საკითხების მიმართ, რაც მოსწავლეთა საჭიროებების ამოცნობასა და იდენტიფიცირებას, მასზე ჯეროვნად რეაგირების ღონისძიებებს უკავშირდება. აღნიშნულმა, თავის მხრივ, განაპირობა მომართვიანობის ზრდა, როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეებისა და მათი მშობლების მხრიდან.

2023 წლის განმავლობაში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალურ მუშაკთა მიერ, სკოლაში საქმიანობის განხორციელების დროს გამოკვეთილი საკითხების, სოციალურ მუშაკთა სემესტრული საქმიანობის შეჯამებისა და სამომავლო გეგმებზე შეთანხმების მიზნით, მიმდინარეობდა ინტენსიური შეხვედრები საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან და სასწავლო პროცესში ჩართულ სხვა სუბიექტებთან.



სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ სკოლებში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური აგრძელებს ნივთიერებათა მოხმარების პრევენციაზე მიმართული ორი პროგრამის განხორციელებას: 13 წლამდე მოსწავლეებისათვის - მტკიცებულებითი მეთოდის გამოყენებით (EU DAP Unplugged Program) - ,,ცოცხალი შესრულებით, ანუ, ფონოგრამის გარეშე“ და ნარკოპრევენციის პროგრამა 13 წლის ზევით მოზარდებისთვის - ,,სარისკო ქცევების პრევენცია.''

2023 წლის განმავლობაში, 13 წლამდე მოსწავლეებისათვის პროგრამა - მტკიცებულებითი მეთოდის გამოყენებით - სრულად ჩატარდა საქართველოს 19 საჯარო სკოლის 26 კლასში.

ამასთან, მოსწავლეებისთვის განკუთვნილი მოდულის პარალელურად, აღნიშნულ პროგრამას მშობლების კომპონენტიც დაემატა. მშობელთა კომპონენტის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ოჯახთან დაკავშირებული რისკისა და დამცავი ფაქტორების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რაც ადრეული მოზარდობის ასაკში ნივთიერებების მოხმარებას უკავშირდება და წაახალისოს მშობლები, გამოიყენონ ავტორიტეტული აღზრდის სტილი. პროგრამა ჩაუტარდა 8 სკოლის მშობელთა 12 ჯგუფს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პროგრამა 13 წლის ზევით მოზარდებისთვის - ,,სარისკო ქცევების პრევენცია“ სრულად ჩატარდა საქართველოს 80 საჯარო სკოლის 89 კლასში.

2023 წლის ოქტომბერში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის უფროსმა, მარიამ დავითაშვილმა მონაწილეობა მიიღო ნივთიერებათა მოხმარებისა და მონიტორინგის გამოწვევებისა და შესაძლებლობების მე-5 საერთაშორისო კონფერენციასა და ნივთიერებათა მოხმარების პრევენციის ევროპული კურიკულუმის ტრენერთა შეხვედრაში, რომელიც პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გაიმართა. საერთაშორისო კონფერენციაზე განიხილეს ნივთიერებათა პრევენციის ევროპული კურიკულუმი და სტრატეგია სხვადასხვა ქვეყანაში, სკოლაზე დაფუძნებული პრევენცია, ნივთიერებათა მოხმარების პრობლემა 21-ე საუკუნეში და მასთან გამკლავების მექანიზმები.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკები, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, აქტიურად განაგრძობდნენ მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე სკოლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების მომართვის საფუძველზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის: მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩასართავად დასახული ღონისძიებების გაუტარებლობის მიზეზების დადგენას და/ან მიღწეული შედეგების მდგრადობის შეფასებას; მოსწავლის ოჯახში ვიზიტს; ვიზიტის თაობაზე ანგარიშის მომზადებას; სამოქმედო გეგმის შედგენასა და შემაჯამებელი დასკვნის მომზადებას.

მოსწავლის სტატუსის შეჩერების მიმართულებით, 2023 წლის განმავლობაში, სოციალურმა მუშაკებმა, თბილისსა და რეგიონებში, რეაგირება მოახდინეს 306 მომართვაზე. აქედან, მოსწავლის სტატუსის შეჩერების რისკი აღმოიფხვრა 134 შემთხვევაში, ხოლო მოსწავლეს სტატუსი შეუწყდა 88 შემთხვევაში. სტატუსის მიუხედავად, 84 შემთხვევაზე მიმდინარეობს მუშაობა, მათ შორის, სტატუსის აღდგენის მიზნით. შესწავლილი შემთხვევებიდან, 53 შემთხვევაში - დამატებით ჩაერთო სხვა შესაბამისი უწყება/მომსახურება.

მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის კომპეტენციის მიღმა არსებული მომსახურების მიღების მიზნით, სხვადასხვა მომსახურების მიმწოდებელ სამსახურში, ცენტრის მიერ, 563 მოსწავლე გადამისამართდა. ცენტრის სპეციალისტები აქტიურად თანამშრომლობენ შემთხვევებში ჩართულ უწყებებთან და მონაწილეობენ მულტისექტორულ შეხვედრებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გასული წლების მსგავსად, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები, სკოლებში ძალადობის პრევენციის მიზნით, სხვადასხვა მტკიცებულებაზე დაფუძნებული მეთოდებითა და მიდგომებით, სისტემატურად აგრძელებდნენ საინფორმაციო და საგანმანათლებლო შეხვედრებისა და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების ჩატარებას მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და მშობლებთან, ისეთ თემებზე, როგორიცაა: სარისკო ქცევების პრევენცია; ემოციის რეგულაცია და ბრაზის მართვა; ძალადობის, მათ შორის - ბულინგის, კიბერბულინგის, სიძულვილის ენის გავლენის შედეგები, პრევენცია და რეაგირება; ანტიდისკრიმინაციული მიდგომები, ტოლერანტობა, სტერეოტიპები, ადამიანის უფლებები; ადრეული ქორწინება და გენდერული დისკრიმინაცია; კრიმინალური იდეოლოგია/სუბკულტურა; საგზაო უსაფრთხოება; აღზრდა და აღზრდის

სტილები; ეფექტიანი კომუნიკაცია; გარდატეხის ასაკის თავისებურებები; რთული ქცევის მართვა და სხვა. აღნიშნულ აქტივობებში, ყოველწლიურად, ათიათასობით მოსწავლე, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი და მშობელი ერთვება.

2023 წელს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების, ასევე, მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს კოორდინატორების მიერ, ჩატარდა:

- გაცნობითი ხასიათის 1 953 შეხვედრა I კლასის მოსწავლეებთან;
- 1 796 შეხვედრა საგზაო უსაფრთხოების თემაზე, I-VIII კლასის მოსწავლეებისთვის;
- 198 საინფორმაციო-საგანმანათლებლო ონლაინ შეხვედრა VII-XII კლასის მოსწავლეებთან, ძალადობისა და კიბერბულინგის გავლენებზე, პრევენციისა და რეაგირების საკითხებზე;
- რეგულარული სასკოლო აქტივობები მოსწავლეებთან, ისეთ თემებზე, როგორიცაა: ანტიდისკრიმინაციული მიდგომები, სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა, ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი, გენდერული თანასწორობა, ტოლერანტობა, ადრეულ ასაკში ქორწინება, ოჯახში ძალადობა, ადამიანის უფლებები, ბავშვთა უფლებები. წლის განმავლობაში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან მანდატურის სამსახურის ტრენერმა მანდატურებმა 1 024 შეხვედრა ჩაატარეს. აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 19 987მოსწავლემ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, ევროპის საბჭოსა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, 2019 წლიდან, აქტიურად არის ჩართული კამპანიაში „მე ვირჩევ თანასწორობას“.

2023 წელს, თანასწორობის კვირეულის - „მე ვირჩევ თანასწორობას“ ფარგლებში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ორგანიზებით, საქართველოს საჯარო სკოლებში, თანასწორობისა და ტოლერანტობის თემებზე მრავალფეროვანი საინფორმაციო და შემეცნებითი ღონისძიებები გაიმართა.

ბათუმის, ახალციხის, თელავის, ზუგდიდისა და ქუთაისის 26 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეთა შორის ჩატარდა ინტელექტუალური თამაშები თანასწორობის შესახებ. თამაშის მონაწილეებმა ადამიანის უფლებებთან, ტოლერანტობასა და თანასწორობასთან დაკავშირებულ შეკითხვებს უპასუხეს. ინტელექტუალური შეჯიბრის გამარჯვებულებსა და მონაწილეებს, ევროპის საბჭოს სახელით, სპეციალური საჩუქრები გადაეცათ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსმა, სოფიო აბულაშვილმა ევროპის საბჭოს პროექტის „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ დახურვის ღონისძიებასა და მმართველი კომიტეტის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებაზე ცალკე პანელი დაეთმო საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ტრენერი მანდატურის გამოსვლას, თემაზე „რა არის საჭირო იმისთვის, რომ იყო სანდო მანდატური“.

მანდატურის სამსახურის ორგანიზებით, თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლებში, ასევე გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებები. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებმა და სოციალურმა მუშაკებმა მოსწავლეებთან ბავშვთა უფლებების, ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის და ტოლერანტობის თემებზე შეხვედრები ჩაატარეს; გაიმართა ინტელექტუალური თამაში; მოეწყო ნახატებისა და პოსტერების გამოფენა.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გლობალური კამპანიის ფარგლებში, ადრეულ ასაკში ქორწინების თემაზე, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებმა და დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს კოორდინატორებმა 10 საჯარო სკოლის 600 მოსწავლესთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები გამართეს. ასევე, მოეწყო აღნიშნული სკოლის მოსწავლეების მიერ მომზადებული პოსტერების გამოფენა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი 2023 წელსაც განაგრძობდა უკრაინაში მიმდინარე ომით დაზარალებული ადამიანებისთვის უსასყიდლო ფსიქოსოციალური მომსახურებისა და საკონსულტაციო სერვისის მიწოდებას.

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, ფონდ „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ სპეციალისტის მიერ, ომის მსხვერპლთა პოსტ-ტრავმულ მუშაობაში გადამზადდა 16 სოციალური მუშაკი.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურსა და აშშ-ის საელჩოს მშვიდობის კორპუსთან თანამშრომლობის ფარგლებში, ქართველ და უკრაინელ კოლეგებთან ერთად, ომის შედეგად დაზარალებულ ბავშვებთან მუშაობის მიზნით, 2023 წელს, საქართველოს ამერიკელი მოხალისე - სოციალური მუშაკი ეწვია. ამერიკელი მოხალისე, იმ სკოლებში, სადაც მანდატურის სამსახური სოციალური მუშაობის კომპონენტითაა წარმოდგენილი, სხვადასხვა მიზანსა და ამოცანაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს ატარებს, მათ შორის, ისეთ თემებზე, როგორიცაა: ტოლერანტობა, ჯგუფური მუშაობა, თვითშეფასება, თვითგამოხატვა და ა.შ.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, იაპონიის საელჩოს, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის

თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე მასპინძლობს იაპონელ მოხალისეს - სოციალურ მუშაკს. მოხალისე სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ სკოლებში ატარებს შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებს, ისეთ თემებზე, როგორიცაა: იაპონიის კულტურა, ორიგამის ხელოვნება, იაპონური ტანისამოსი, მუსიკა, ხელოვნება და ა.შ.

2023 წელს, სოციალური მუშაობისა და ფსიქოლოგიის პრაქტიკის სწავლება სტუდენტებისათვის გაგრძელდა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისა და უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლობის ფარგლებში (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთა, ასევე, ფსიქოლოგთა, სოციალურ მუშაკთა და ფსიქიატრთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით, ხორციელდებოდა განგრძობითი განათლების უწყვეტი პროცესი.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლები, როგორც შიდა რესურსით, ასევე სხვადასხვა ექსპერტის მიერ, გადამზადდნენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა:

- კრიზისული ინტერვენცია ცხოვრებისეულ კონტექსტში (LSCI);
- ფსიქიკური ჯანმრთელობა;
- პოზიტიური მშობლობა;
- არტ-თერაპია;
- მოტივაციური ინტერვიუირება;
- GEV-B მეთოდი - მიჯაჭვულობის ინსტრუმენტი;
- „აქ და ამჟამად - მაინდფულნესი“;
- დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან მუშაობის საკითხები;
- მულტიგუნდური მუშაობა;

- ომის შედეგად დაზარალებულ ბავშვებთან მუშაობა;
- კონსულტირება პროფესიულ უნარ-ჩვევებზე;
- ურთიერთობითი თამაში სოციალურ მუშაობასა და ინკლუზიურ განათლებაში;
- შშმ/სსსმ ბავშვებზე ძალადობის იდენტიფიცირება და რეაგირება;
- შშმ და სსსმ მოსწავლეების სქესობრივი განათლების საკითხები;
- ტრავმირებულ ბავშვებთან მუშაობა;
- რეცეპტი ბედნიერი, დაბალანსებული ცხოვრებისთვის;
- აღდგენითი პრაქტიკა;
- კრიმინალური სუბკულტურა;
- კულტურული მრავალფეროვნება.

მჭიდრო თანამშრომლობა გაგრძელდა ევროპის საბჭოსთან, პროექტის „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში.

2023 წელს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, საგანმანათლებლო დაწესებულების 30 მანდატური, ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით, ტრენერთა ტრენინგის პროგრამით გადამზადდა. მანდატურებმა დეტალურად შეისწავლეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: სტერეოტიპები, სტიგმა და დისკრიმინაცია; ტოლერანტობა და მრავალფეროვნება; ბულინგი და კიბერბულინგი; სიძულვილის ენა და მასთან ბრძოლის მექანიზმები; ბავშვის უფლებების კონვენცია; ადამიანის უფლებათა სწავლება - მიდგომები და მეთოდოლოგია; მანდატურის როლი ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში. ტრენინგს საგანმანათლებლო დაწესებულების ტრენერად გადამზადებული თანამშრომლები, ევროპის საბჭოს ექსპერტების სუპერვიზიით უძღვებოდნენ.

წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა სასწავლო პროგრამით, შიდა რესურსით საგანმანათლებლო დაწესებულების 318 მანდატური გადამზადდა.

ევროპის საბჭოს მიწვევით, 2023 წლის სექტემბერში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს ანალიტიკური მიმართულების მენეჯერმა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ცენტრის უფროსმა კოორდინატორმა მონაწილეობა მიიღეს ტრენერებისთვის განკუთვნილ სასწავლო კურსში - „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ნარატივების შემუშავება საქართველოში სიძულვილის ენის წინააღმდეგ სამოქმედოდ“.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებმა და სოციალურმა მუშაკებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ჰიბრიდულ სასწავლო 8 კვირიან კურსში, რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციის (ECRI No.15) სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ. კურსი მიზნად ისახავს, გააუმჯობესოს საქართველოში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობები, ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად.

2023 წელს, თბილისის, ქვემო ქართლისა და გურიის რეგიონების 208 მანდატურმა, სპეციალურად საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისთვის შექმნილი ტრენინგ-პროგრამით, განათლებაში გენდერული მეინსტრიმინგის თემაზე გადამზადება გაიარა. ტრენინგებზე ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის, გენდერული თანასწორობის და ოჯახში ძალადობის საკითხები განიხილეს. ტრენინგები გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის - „ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში“ მხარდაჭერით ჩატარდა. გადამზადების კურსს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ტრენერად გადამზადებული თანამშრომლები უძღვებოდნენ.

2023 წელს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს თბილისისა და რეგიონების ცენტრების უფროსებმა და კოორდინატორებმა ტრენინგი გაიარეს გენდერული თანასწორობის და ოჯახში ძალადობის

საკითხებზე. ტრენინგზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: გენდერული როლები, ნორმები და სტერეოტიპები; ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები; ბავშვზე ოჯახში ძალადობის ფორმები, რისკ-ფაქტორები და შედეგები; ოჯახში ძალადობის მსხვერპლი და შემსწრე ბავშვების ფსიქოლოგიური თავისებურებები და რეაქციები; ბაზისური წარმოდგენები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ; სექსუალური ძალადობის გავლენა ბავშვზე და მისი გამოვლენის სიძნელეები; მსხვერპლის იდენტიფიცირება - საფრთხის სიგნალები; ეფექტიანი კომუნიკაციის ძირითადი პრინციპები; საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ; ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებები და სხვა. ტრენინგი განხორციელდა გაეროს პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით.

აჭარის რეგიონის მანდატურებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პროკურატურის მიერ ორგანიზებულ, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის - „არა ფემიციდს“ ფარგლებში გამართულ შეხვედრებში.

2023 წელს, თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის, აჭარა-გურიის, სამეგრელო, ზემო სვანეთის, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, კახეთის და ქვემო ქართლის ცენტრების საგანმანათლებლო დაწესებულების 548 მანდატურს მოზარდებში პრობლემური ქცევისა და სუბკულტურის თემაზე ონლაინ ტრენინგები ჩაუტარდათ. ტრენინგებს მანდატურის სამსახურის ტრენერად გადამზადებული თანამშრომლები უძღვებოდნენ.

2023 წელს, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ნორვეგიის მხარდაჭერით, ინიციატივის „ლიდერობა, თანასწორობა, ადვოკატირება და დემოკრატია“ (LEAD), ასევე, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე ოსლოს კოალიციის პროექტის ფარგლებში, ოსლოს უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ნორვეგიულ ცენტრთან თანამშრომლობითა და

ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, გაიმართა სასწავლო სასერტიფიკატო კურსი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების თეორიული, სამართლებრივი საფუძვლებისა და საქართველოსა და მის მიღმა ძირითადი სტანდარტების, პოლიტიკისა და პრაქტიკების შესახებ. აღნიშნულ კურსში მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურმა, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალურმა მუშაკმა და პროფესიულმა ზედამხედველმა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგებში: ოჯახის კონსულტირება - ორგანიზაცია „დენდრონის"; „პოზიტიური მშობლობა" - Pompidou ჯგუფი; „დამნაშავეობა და ნივთიერების მოხმარება - ჰოლისტიკური მიდგომა რეაბილიტაციისადმი" და „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ნივთიერების მოხმარება" - „მსოფლიო ფედერაცია ნარკოტიკების წინააღმდეგ" (WFDA); ასევე, ისლანდიელი ექსპერტის ტრენინგში - „ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულება."

სოციალური მუშაკებმა გაიარეს ორგანიზაცია „GIP - ფონდი გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში'' მიერ ორგანიზებული რამდენიმეეტაპიანი ტრენერთა ტრენინგი - ,,ცოცხალი შესრულებით, ანუ ფონოგრამის გარეშე," ბავშვებთან და მშობლებთან მისაწოდებელი მოდულების მიხედვით.

2023 წელს, სოციალურმა მუშაკებმა მონაწილეობა მიიღეს სპეციალური განათლების მიმართულებით ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, ნორდიკული შედარებითი და საერთაშორისო განათლების საზოგადოების (NOCIES) პრეზიდენტის, პარაოლიმპიადის გერმანული აკადემიის გამგეობის წევრის, ფლორიან კიუპისის შეხვედრაში, სადაც ინკლუზიისა და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპზე დაფუძნებული ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშემწყობი კონცეფცია „ბასკინი" განიხილებოდა.





2023 წელს, მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალურმა მუშაკებმა გადამზადება გაიარეს მარტივი და გასაგები საკომუნიკაციო ენით საუბრის ტექნიკებთან დაკავშირებით, რომელსაც გერმანელი ექსპერტი სუზანე კესლერი უძღვებოდა. ასევე, მათ მონაწილეობა მიიღეს მიჯაჭვულობის კვლევისათვის ისტორიების დასრულების მეთოდის (Gev-b მეთოდის) „მიჯაჭვულობის" ინსტრუმენტის გამოყენების ტრენინგში.

2023 წლის განმავლობაში, მოსწავლეებისთვის მომსახურების მიწოდებისა და რეფერირების მექანიზმის ფარგლებში, სამსახურმა განაგრძო მჭიდრო თანამშრომლობა შესაბამის სახელმწიფო და არასამთავრობო უწყებებთან. საჭიროებიდან გამომდინარე, ხორციელდებოდა კონკრეტული შემთხვევების ერთობლივი განხილვა.

კოორდინირებული თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები, სკოლებში უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებთან, მათი დაძლევის გზებთან და მანდატურის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით, სისტემატურად მართავდნენ შეხვედრებს რესურსცენტრების წარმომადგენლებთან, სკოლის დირექტორებთან და პედაგოგებთან.

2023 წელს, ტრენერმა მანდატურებმა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის საქმიანობის შესახებ შეხვედრები გამართეს საჯარო სკოლების მოსწავლეთა მშობლებთან. აღნიშნულ შეხვედრებს დაესწრო 177 მონაწილე.

საანგარიშო პერიოდში, მანდატურის საქმიანობის შესახებ ჩატარდა 57 შეხვედრა სკოლის დირექტორებთან, პედაგოგებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან. აღნიშნულ შეხვედრებს დაესწრო 1 147 მონაწილე.

2023 წლის დეკემბერში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებმა მონაწილეობა მიიღეს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ორგანიზებული, ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის ფარგლებში გამართულ შეხვედრებში, პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის საკითხებზე.

2023 წელს, შეიცვალა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურებრივი ფორმა. ახალი ფორმა არის თანამედროვე სტილის, ადვილად იდენტიფიცირებადი, ყოველდღიურ რეჟიმში კომფორტული და პრაქტიკული.

2023 წელს, სრულად გარემონტდა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის რეგიონული ოფისები ქ. ფოთსა და ქ. თელავში, ასევე სარემონტო სამუშაოები განხორციელდა ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თბილისის ოფისში.

2023 წლის 15 ნოემბერს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად, 2024 წლიდან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლებასთან დაკავშირებული სერვისების განხორციელება მოხდება ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ, რაც გააუმჯობესებს პროცესის კოორდინაციას. ეს, თავის მხრივ, გაზრდის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობასა და ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

შესაბამისად, მანდატურის სამსახურში გაერთიანდება საქართველოს განათლების სისტემის სხვადასხვა მიმართულება და არსებული ინკლუზიური განათლების მომსახურებები, როგორიცაა: სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი, ინტეგრირებული კლასების სუპერვაიზორები და მასწავლებლის სახლის ინდივიდუალური კონსულტანტები ქცევითი სირთულეების მიმართულებით. შედეგად, მოხდება პასუხისმგებლობის და მხარდამჭერი მომსახურებების მობილიზება ერთ სივრცეში, ერთი უწყების ფარგლებში, რაც ინკლუზიური განათლების მიმართულებით, არსებული რესურსების უფრო კოორდინირებულად მართვის და ეფექტიანად გამოყენების პირობებს შექმნის; ამასთან, დაინერგება ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი მომსახურებები.

2023 წელს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად, მონაწილეობდა ლიდერობის და კონსულტირების განვითარების ტრენინგების ციკლის უზრუნველყოფაში, რომელიც ტარდებოდა ნორვეგიის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ეროვნული სამსახურის (STATPED) ექსპერტების მიერ. აღნიშნული ტრენინგ-პროგრამა მიზნად ისახავდა განათლების სისტემაში არსებული ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი მომსახურებების და მართვით რგოლის წარმომადგენლების პროფესიულ გაძლიერებას ინკლუზიური განათლების და სკოლებში ინკლუზიური პრაქტიკის მხარდაჭერის საკითხებში, ასევე, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში ინკლუზიური განათლების ახალი მხარდამჭერი ცენტრის დაფუძნებისთვის მომზადებას.

ლიდერობის განვითარების ტრენინგში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის, რესურსსკოლებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ის სპეციალისტები და მმართველობითი რგოლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საქართველოში ინკლუზიური განათლების ახალი მხარდამჭერი სისტემის დანერგვასა და უზრუნველყოფაზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ზოგადი განათლების მხარდაჭერის გაძლიერების მიზნით, ასევე ჩატარდა კონსულტირების განვითარების ტრენინგი, რომელსაც განათლების სისტემის 100-მდე სპეციალისტი ესწრებოდა.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით, დამატებითი პროფესიული განვითარების ტრენინგები ჩაუტარდათ ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სისტემისა და ფსიქოსოციალური მომსახურების სპეციალისტებს. აღნიშნული ტრენინგები მიზნად ისახავდა, როგორც სპეციალისტების კომპეტენციების გაძლიერებას ინკლუზიური და სპეციალური განათლების საკითხებში, ასევე სხვადასხვა მომსახურების წარმომადგენლებს შორის სამომავლო თანამშრომლობის ხელშეწყობას. აღნიშნულ ტრენინგებს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები უძღვებოდნენ.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად, მონაწილეობდა მხედველობის და სმენის სირთულეების მქონე ბავშვების განათლების შესახებ ორი დამხმარე ქართულენოვანი რესურსის მომზადებაში, რომელიც ნორვეგიის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ეროვნული სამსახურის (STATPED) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური მასალის მიხედვით შემუშავდა, აღნიშნული

მეთოდოლოგიური რესურსები განკუთვნილია სკოლის წარმომადგენლებისთვის, მშობლებისა და ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სპეციალისტებისთვის.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური აგრძელებს განვითარებაზე ორიენტირებული პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებას, რათა ხელი შეუწყოს ჯანსაღი, უსაფრთხო, ზრუნვაზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს განმტკიცებას.